6. ჰუმანიტარული მეცნიერებები

6.1. ისტორია და არქეოლოგია

6.1.1. ისტორია

1.6.1.1.1. წმინდანთა კულტისა და პოლიტიკური ლეგიტიმაციის საკითხები გვიანანტიკურ კავკასიაში. /ნ. ალექსიძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2020. – ტ. 14. – #1. – გვ. 137-143. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.
განხილულია გვიანანტიკური კავკასიის წმინდანთა კულტის რეგიონული თავისებურებები. სტატიის მთავარი არგუმენტია, რომ კავკასიური, ანუ ქართული, სომხური და ალბანური წყაროები ამკვიდრებენ განსხვავებულ კონცეპტებს, პრაქტიკებს და რიტორიკას აღმოსავლეთ რომის იმპერიის წმინდანებთან დაკავშირებულ დისკურსში. გვიანანტიკურ კავკასიურ წყაროებში შესაძლებელია წმინდანთა კულტისა და პოლიტიკურ დისკურსების დაკავშირების განსაკუთრებული მცდელობების წაკითხვა, განსაკუთრებით კი სამეფო ხელისუფლების ლეგიტიმაციის კონტექსტში. ამ მიზნისთვის სტატიაში განხილულია ორი ტექსტი: აგათანგელოსის მეხუთე საუკუნის „სომხეთის ისტორია“, ალბანური ანონიმური და რთულად დასათარიღებელი „ვაჩაგან მეფის ცხოვრება“, რომელიც არის „ალბანთა ისტორიის ნაწილი“. ასევე მოკლედ იმავე კონტექსტში მიმოხილულია ქართული „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. ტექსტებზე დაყრდნობით, სტატიის მთავარი არგუმენტია, რომ წმინდა ნაწილების პოლიტიზაცია, ერთი მხრივ, ნასესხებია აღმოსავლურ რომის იმპერიის რიტორიკიდან, განსაკუთრებით კი კონსტანტინეს და თეოდოსიოსის თანამედროვე ავტორებისგან, ხოლო მეორე მხრივ, ნასესხებია ირანული და ზოროასტრული სამეფო ხელისუფლების კონცეფციები. ამ გვიანანტიკური ტექსტების მიხედვით, წმინდა ნაწილების ფუნქციაა პოლიტიკური წყობის ლეგიტიმაცია და სამეფეო ხელისუფლების სანკტიფიკაცია ქრისტიანობის დასაწყისსა და აწმყო მდგომარეობას შორის ერთგვარი მეტაფიზიკური ხიდის გადებით და სამეფოსთვის და მისი მონარქისთვის მსოფლიო ხსნის ისტორიაში ცენტრალური ადგილის მინიჭებით. ლიტ. 6.

ავტ.

1.6.1.1.2. განათლება საქართველოს პირველ რესპუბლიკაში (1918-1921). /ნ. სონღულაშვილი/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2020. – ტ. 14. – #1. – გვ. 144-147. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.
საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ხელისუფლებამ არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა განახორციელა. მათ შორის იყო გარდაქმნები განათლების სფეროში. ქართული პოლიტიკური ელიტა ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის დროს მაქსიმალურად ცდილობდა ფართო ფენებში განათლების დონის ამაღლებას და, ბუნებრივია, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ეს საკითხი უპირველესი განხილვის საგანი გახდა. ეს პირველ რიგში გამოიხატებოდა სკოლების ნაციონალიზაციით, რომელსაც საფუძველი 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ ჩაეყარა და 1918 წლიდან ახალი აღმავლობა განიცადა. ეს ყოველივე კი დაკავშირებული იყო სკოლების რეორგანიზაციის პროგრამასთან, რაც პირველ რიგში გულისხმობდა ქართულ ენაზე სწავლა-განათლების წარმოებას და სასწავლო საგნებში: საქართველოს ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს გეოგრაფიის შეტანას. ლიტ. 1.

ავტ.